საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/145

ქ. ბათუმი 27 დეკემბერი, 2019 წ.

ბსუ-ს ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 20 ნოემბრის წერილისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მენეჯერის, მამუკა გოგელიას სამსახურეობრივი ბარათის (MES 0 19 01629724, 29.11.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გაუქმდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 16 ნოემბრის №126 დადგენილების პირველი პუნქტის მე-13 ქვეპუნქტით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მშენებლობის მწარმოებელი“**;
2. გაუქმდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს №69 დადგენილების მესამე პუნქტით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი“**;
3. გაუქმდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №52 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ბუღალტერ-ტექნიკოსი;**
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, შესაბამის ფაკულტეტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**